



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის
აქტი

№ 28/00

„19“ ოქტომბერი 2011

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ილია გოცირიძე

18 ოქტომბერი

„-----“ 2011 წელი

ფგზ.2

ძველი ქალაქის განვითარების ფონდი
2005-2010

საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის აქტი

2005-2010 წ.წ. 01.10.დასრულებული პერიოდისათვის

გვერდი 1

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. №96

ტელ.: (+995 32) 438 438; ფაქსი: (+995 32) 438 136;

www.control.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

აუდიტორთა ანგარიში.....	2-7
ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსურ აუდიტზე დადებითი დასკვნის საფუძველი დასკვნა ფინანსურ აუდიტზე დასკვნა შესაბამისობაზე შენიშვნები	
ორგანიზაციის სტრუქტურა და საქმიანობის აღწერა.....	7-10 გვ.
ბალანსი.....	10-12 გვ.
შემოსავლები და ხარჯები	12-13 გვ.
ძირითადი საშუალებები	14-16 გვ.
ხელფასის ხარჯები.....	16 გვ.
მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობის ხარჯები	16 გვ.
ოფისის ხარჯები	16 გვ.
ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები	17 გვ.
მივლინების ხარჯები	17 გვ.
აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი -	17 გვ.
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	17 გვ.

აუდიტორთა ანგარიში

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს კონტროლის პალატამ (შემდგომში პალატა) ჩაატარა ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის (შემდგომში ფონდი) 2005 - 2010 წლების პირველ ოქტომბრამდე პერიოდის თანხვლები ბალანსების, შესაბამისი შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის აუდიტი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ფონდის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე, ასევე საქმიანობის შედეგებზე ზემოაღნიშნული პერიოდის მდგომარეობით. ეს პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს: შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას შიდა კონტროლის სისტემისა, რომელიც აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს არსებით დამახინჯებებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სკპ-მ ჩაატარა ეს აუდიტი საერთაშორისო უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტის „ინტოსაი“-ს, საქართველოს კონსტიტუციის 97-მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებითა და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი იმის საკმარისი რწმუნებულების მიღების მიზნით, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით შეცდომებს.

კონტროლის პალატას მიაჩნია, რომ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები სათანადო და საკმარისია, რათა უზრუნველყოს აუდიტორული დასკვნის საფუძველი.

ფინანსურ აუდიტზე დადებითი დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ „ძველი ქალაქის განვითარების ფონდის“ თანდართული ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 01/01/05 - 01/10/10- ის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით.

- აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია, იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

- აუდიტი ითვალისწინებდა მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე, ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით.

- აუდიტი აგრეთვე გულისხმობდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დადებითი დასკვნის შესადგენად.

დასკვნა ფინანსურ აუდიტზე

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის ფინანსურ მდგომარეობას 2005-2010,10,01 თარიღით.

აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

შესაბამისობაზე დადებითი დასკვნის საფუძველი

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაბამისობაზე აუდიტის დასკვნა არის დადებითი, აუდიტის ჩატარების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებზეც ყურადღების გამახვილება საჭიროდ მივიჩნიეთ. კერძოდ:

1. ფონდის მიერ 2008 წლის 11 ივლისს სს „ტრანსშენთან“ გაფორმდა დოლიძის ქუჩა №2-ში, მე-5 სართულზე მდებარე 200 კვ.მ და მე-6 სართულზე მდებარე 42 კვ.მ საოფისე ფართის საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენდა 2500 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში დღგ-ს ჩათვლით. ფონდმა ასევე მოახდინა საოფისე ფართის რემონტი (არსებითი გაუმჯობესება). აღნიშნული საიჯარო ფართის ნაწილი სს „ტრანსშენის“ მიერ გასხვისდა, რის შემდეგაც ფონდმა 2009 წლის 02 აგვისტოს ინდივიდუალურ მეწარმე ვაჟა შანავასთან (ახალ მესაკუთრესთან) გააფორმა იჯარის ხელშეკრულება საიჯარო ფართის ნაწილზე, ხოლო 2010 წლის 01 ივნისს, სს „ტრანსშენის“ მიერ საიჯარო ფართის სრულად გასხვისების შემდეგ, საიჯარო ფართის მეორე ნაწილზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფთან“. გასათვალისწინებელია, რომ ფართის მესაკუთრეთა ცვლილების მიუხედავად, საიჯარო ქირის ოდენობა უცვლელი დარჩა. საიჯარო ხელშეკრულება სს „ტრანსშენთან“ (მის უფლებამონაცვლესთან) შეწყდა 2010 წლის 01 აგვისტოს. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ფონდს 2008 წლიდან საკუთრებაში გააჩნდა უძრავი ქონება, რომლის გარემონტების შემთხვევაშიც შესაძლებელი გახდებოდა საკუთარ საოფისე ფართში გადასვლა და დამატებითი საიჯარო ხარჯის თავიდან აცილება. აღნიშნული კი მხოლოდ 2010 წლის აგვისტოს თვეში განხორციელდა. ჯამური ზარალი თანხობრივად 85 115,5 ლარს შეადგენს.
2. ფონდის მიერ არ ხდებოდა საკუთარი საჭიროებისათვის შემენილი საკანცელარიო საქონლის თანამშრომლებზე გაცემის კონტროლი და საკანცელარიო საქონლის გაცემის აღრიცხვა-ჩაბარება. საკანცელარიო ხარჯის თანხა შეადგენს 40 112,07 ლარს.
3. 2009-2010 წლების განმავლობაში ფონდის მიერ ხდებოდა მის საკუთრებაში არსებული ფართების იჯარით გაცემა მესამე პირებზე, რომლის თაობაზეც ფორმდებოდა შესაბამისი ხელშეკრულებები. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ფონდის მიერ არ ხდებოდა ხელშეკრულებების შესაბამისად მოიჯარეების მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხების გადახდის კონტროლი და ხშირ შემთხვევაში მოიჯარეები აგვიანებდნენ შესაბამისი საიჯარო თანხების გადახდას, რასაც არ მოყოლია ფონდის მხრიდან რეაგირება, საჯარიმო სანქციების გამოყენება ან/და ხელშეკრულებების შეწყვეტა. დაგვიანებას ჰქონდა სისტემატური ხასიათი. საიჯარო ხელშეკრულებებში არ არის მითითებული საურავები გადასახადის თანხის დაგვიანებაზე. რაც გარკვეულ მატერიალურ ზარალს აყენებს ფონდს.
4. შპს „არტესი“-სთან 2009 წლის 29 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება ქვემო კალაუზნის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად შემსრულებელს გადაერიცხა ავანსად სახელშეკრულებო თანხის 20%, რომელზეც შემსრულებელი წარმოადგენდა საბანკო გარანტიას.

აღნიშნული საავანსო თანხა, ყოველი კონკრეტული შესრულების მიღება-ჩაბარებისას (სამუშაოების ეტაპის ჩაბარება) მცირდება შესრულებული სამუშაოსათვის გადასახდელი თანხის 20%-ით.

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ 2010 წლის პირველ მაისს, მაშინ როდესაც ავანსად გადახდილი თანხიდან დარჩენილი იყო აუთვისებელი 80 816 ლარი, რომელზეც შემსრულებელმა აღარ წარმოადგინა ახალი საბანკო გარანტია და არც არსებულ საბანკო გარანტიას გაუგრძელდა ვადა.

აღნიშნულის შემდეგ, მომდევნო ეტაპების სამუშაოების მიღება-ჩაბარებების შუალედური აქტების გაფორმებისას, შემსრულებელთან მოხდა უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილი საავანსო თანხის სრულად გაქვითვა (3 მაისი - 13 250; 17 მაისი - 15 934; 6 ივლისი - 51 632) და 2010 წლის 6 ივლისისათვის უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილი საავანსო თანხა ამოიწურა – გაიქვითა შესაბამისი ღირებულების სამუშაოების შესრულებით.

ანალოგიური შემთხვევა ფიქსირდება შპს „ინ-სი“ სთან 2010 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ბოტანიკურის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტთან მიმართებაში. შემსრულებელს ავანსად გადაერიცხა სახელშეკრულებო ღირებულების 6%, რომელზეც წარმოდგენილ იქნა საბანკო გარანტია.

2010 წლის პირველ მაისს, როდესაც ავანსად გადახდილი თანხიდან დარჩენილი იყო 231 970 ლარი, ვადა გაუვიდა საავანსო საბანკო გარანტიას და შემსრულებელს არ განუახლებია/არ შეუცვლია იგი სხვა ახალი საბანკო გარანტიით.

აღნიშნულ შემთხვევაშიც მოხდა შემსრულებლისათვის ავანსად გადახდილი და უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილი თანხის გაქვითვა შესაბამისი სამუშაოების შესრულებებით (13 მაისი - 77 408; 17 მაისი - 24 231; 6 ივლისი - 130 331) და საავანსო თანხის განულება.

აღნიშნულ დარღვევას არ გამოუწვევია რაიმე ზიანი ან/და დანაკლისი არც ფონდის ბიუჯეტის და არც მიმდინარე პროექტების მიმართ. თუმცა, არსებობდა გარკვეული რისკები შემსრულებლების მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქმედებების შემთხვევაში.

5. ფონდის ზოგიერთ თანამშრომელზე ხდებოდა საწვავის გაცემა, რომელიც გამოიყენებოდა ფონდის თანამშრომლების მიერ საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას გამოყენებული ავტომანქანებისათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ საწვავის გაცემის პარალელურად არ ხდებოდა ავტომანქანების გარბენის აღრიცხვა და სპიდომეტრების შესაბამისი ჩანაწერების წარმოება, ასევე არ იყო დადგენილი კონკრეტულ თანამშრომელზე გასაცემი საწვავის ზღვრული ლიმიტები. ამავე დროს თანამშრომლებზე გაცემული საწვავი ჩაითვლება გაცემულ ხელფასად და გამოიწვევს საშემოსავლო გადასახადის დარიცხვას.

6. დარღვეულია ფინანსთა მინისტრის ინსტრუქცია სალარო მეურნეობის წარმოების შესახებ. რაც გამოიწვევს ადმინისტრაციულ დარღვევას ჯარიმის სახით. თუმცა ეს ფაქტი არ აფერხებს ფონდის მიერ პროექტის განხორციელებას.
7. ფონდის არსებობის მანძილზე რამდენჯერმე ჩატარდა ძირითადი საშუალებებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია, მაგრამ არ არის ბრძანებები ინვენტარიზაციაზე და არც საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობა ყოფილა ბრძანებით დანიშნული.
8. 2005 წლის 17 მარტის ქალაქ თბილისის მთავრობის N04.03.58 დადგენილებით დამტკიცებული „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ წესდების მე-3 პუნქტის მიხედვით, ფონდს მისი ქონების მდგომარეობისა და გაწეული სამუშაოს შესახებ ყოველწლიური ანგარიში უნდა წარედგინა დამფუძნებლების წინაშე, რაც არ განუხორციელებია;
9. წესდების მე-6 პუნქტის მიხედვით გამგეობას (2005-07 წლებში, წესდების ახალი რედაქციით დამტკიცებამდე) ყოველწლიურად (არაუგვიანეს ყოველი წლის 30 იანვრისა) უნდა გამოექვეყნებინა პრესაში ანგარიში ფონდის წინა წლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაც მას არ გაუკეთებია;
10. ფონდსა (შემსრულებელი) და შპს „კომფორტს“ (დამკვეთი) შორის 2006 წლის 12 ივლისს გაფორმებულ ხელშეკრულებას (N 01-6-06), ასევე ფონდსა (შემსრულებელი) და შპს „აქსის დეველოპმენტს“ (დამკვეთი) შორის 2007 წლის 30 მარტს (N 01-11-07) გაფორმებულ ხელშეკრულებას თან არ ახლავს მიღება-ჩაბარების აქტები ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (ორივე შემთხვევაში ფონდის სასარგებლოდ გადახდილია სახელშეკრულებო თანხის ნაწილი).

დასკვნა შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, გარდა საკითხებისა, რომელიც აღწერილია შესაბამისობაზე პირობითი დასკვნის საფუძველში, ყველა არსებითი ასპექტი საქმიანობის, ფინანსური ოპერაციებისა და ინფორმაციისა, რომელიც აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისობაშია ნორმატიულ აქტებთან.

ორგანიზაციის სტრუქტურა და საქმიანობის აღწერა

ქ. თბილისის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“ (შემდგომში: „ფონდი“) დაფუძნებულია ქალაქ თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის N04.03.58 დადგენილებით, რომლითაც დამტკიცდა ფონდის წესდება, განისაზღვრა გამგეობის შემადგენლობა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – ფონდის თავმჯდომარე, ასევე გამოიყო ფონდის ფუნქციონირების დაწყებისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრები. ფონდის რეგისტრაცია განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2005 წლის 31 მარტს.

დამფუძნებლის მიერ, წესდებით გათვალისწინებულ ფონდის ძირითად ამოცანებს, მიზნებს და ფუნქციებს წარმოადგენდა ძველი თბილისის ისტორიული ნაგებობების რეაბილიტაციის სტრატეგიის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რესტავრაციის კონცეფციების შემუშავება, მათი განხორციელება და ზედამხედველობა, ასევე ძველ თბილისში ქონების მართვის დარგის წახალისებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ფონდის წესდებაში ცვლილებები შევიდა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის N11.01.314 დადგენილებით, რომელიც გამოწვეულ იქნა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ და მერიის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებებით, ასევე ნაწილობრივ შეიცვალა გამგეობის შემადგენლობა, ხოლო წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი უცვლელი დარჩა. შემდეგი ცვლილება ფონდის წესდებაში შევიდა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 20 ივლისის N15.27.424 დადგენილებით, რომელიც ასევე შეეხებოდა ფონდის გამგეობის წევრების და მათი რაოდენობის ცვლილებას, ასევე შეიცვალა ფონდის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. ფონდის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება და გამგეობის შემადგენლობის შემდგომი ცვლილება განხორციელდა ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის N05.09.118 დადგენილებით. დამფუძნებლის მიერ ფონდის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება და გამგეობის შემადგენლობაში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2009 წლის 25 ნოემბრის N31.12.1049 დადგენილებით. სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებები რეგისტრირდებოდა კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამის მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოებში.

წესდებით გათვალისწინებული ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ფონდის მიერ განხორციელებულია შემდეგი პროექტები:

- კალაუზნის რეაბილიტაციის პროექტი:

2009 წლის დასაწყისში კალაუზანში ორმოცდასამი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის ფარგლებში გამაგრებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები ოცდაათობმეტ საცხოვრებელ სახლს ჩაუტარდა, ხოლო ცხრა შენობა, რომელიც კონსტრუქციულად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, სრულყოფილად თავიდან აშენდა. უძველესი ნაგებობები საუკეთესო ხარისხის თუნუქით და კრამიტით გადაიხურა. ფასადები თავიდან გაილესა და მაღალხარისხიანი საღებავით შეიღება. ეზოს ღობეები ქართული აგურით მოპირკეთდა. შენობებზე შეიცვალა ხის კარ-ფანჯრები, ასევე ღია და შემინული აივნები. კალაუზანში გამოიცვალა მაგისტრალური სანიაღვრე, წყალსადენი, კანალიზაციის და მასზე დაერთებული ეზოებში შემავალი მილები. ქუჩები მოპირკეთდა ქვანაპირით, ასევე დამონტაჟდა კედლის ბრები და ჭედური განათების ბოძები. სატელეფონო და ელ. მომარაგების კაბელები მოეწყო მიწისქვეშა არხებში.

- ბოტანიკურის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი:

2010 წელს ბოტანიკურის ქუჩაზე თვრამეტი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის ფარგლებში გამაგრებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები თერთმეტ საცხოვრებელ სახლს ჩაუტარდა, ხოლო შვიდი შენობა, რომელიც კონსტრუქციულად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, სრულყოფილად თავიდან აშენდა. უძველესი ნაგებობები საუკეთესო ხარისხის თუნუქით და კრამიტით გადაიხურა. ფასადები თავიდან გაილესა და მაღალხარისხიანი საღებავით შეიღება. ეზოს ღობეები ქართული აგურით მოპირკეთდა. შენობებზე შეიცვალა ხის კარ-ფანჯრები, ასევე ღია და შემინული აივნები. სატელეფონო და ელ. მომარაგების კაბელები მოეწყო მიწისქვეშა არხებში.

- დავით აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის პროექტი:

2010 წელს დ. აღმაშენებლის გამზირზე საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის ფარგლებში გამაგრებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები ოცდაცხრა საცხოვრებელ სახლს ჩაუტარდა. რვა შენობაზე მოეწყო მანსარდის სტილის სახურავები, ხოლო ოცდაერთი შენობა საუკეთესო ხარისხის თუნუქით გადაიხურა. ფასადები თავიდან გაილესა და მაღალხარისხიანი საღებავით შეიღება. ფასადებზე განთავსებულ ვარგის დეკორატიულ ელემენტებს ჩაუტარდა რესტავრაცია, დაზიანებული დეკორატიული ელემენტები კი ჩამოიხსნა და მათ ნაცვლად ანალოგიური ფიგურები მოეწყო. შენობებზე შეიცვალა ხის კარ-ფანჯრები, ასევე ღია და შემინული აივნები. სატელეფონო კაბელები მოეწყო მიწისქვეშა არხებში. შეიცვალა სადარბაზოების კარები და რესტავრაცია ჩაუტარდა არკებში არსებულ ჭედურ ჭიმვრებს.

- გმირთა მოედანზე „გმირების მონუმენტი“-ს პროექტი:

გმირთა მოედანზე 2009 წლის დეკემბერში დაიწყო და 2010 წლის მაისში დასრულდა გმირთა მონუმენტის მშენებლობა. აღნიშნული ობიექტის პროექტირება და მშენებლობის ზედამხედველობა განხორციელდა ესპანელი არქიტექტორების ჯგუფის მიერ - კომპანია "CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.". მონუმენტის საძირკველის მშენებლობა და მონუმენტის რკინის კონსტრუქციების და მისი ექსტერიერის სამონტაჟო სამუშაოები განახორციელა შპს „კავკაზუს როუდ პროექტმა“. გმირთა მონუმენტის სიმაღლე შეადგენს 50 მეტრს. მისი რკინის კონსტრუქციები დამზადებულია ესპანეთში ისევე, როგორც გარე ფასადის მოსაპირკეთებელი ორგანიკული მინა და ძვირფასი ქვის პასალა. აღნიშნული მონუმენტი აღჭურვილია თანამედროვე განათების საშუალებებით რაც განსაკუთრებით შთამბეჭდავს ხდის გმირთა მონუმენტს ღამით. მონუმენტის ფასადზე განხორციელდა მეტალიზირებული თვითწებადი (სარკისებური) არაკალის მონტაჟი და სპეციალური ფირების გამოყენებით განთავსებულია საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა სახელები და გვარები.

- „მშვიდობის ხიდი“ რიყეზე:

ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის სანაპიროზე აგებული „მშვიდობის ხიდი“, რომელიც აკავშირებს მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან - ერეკლე II -ს ქუჩას და მარცხენა სანაპიროზე - რიყის ტერიტორიას წარმოადგენს იტალიელი არქიტექტორის მიქელე დე ლუკის არქიტექტურულ გადაწყვეტას.

ხიდის საინჟინრო სტრუქტურა წარმოადგენს მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე ოთხ წერტილში, 15 მეტრის სიღრმეში 278 მიკრო რკინაბეტონის ხიმინჯებზე დაფუძნებულ ლითონის რთულ თაღოვან კონსტრუქციას, რომელზეც ფოლადის ვანტებით დაკიდულია ხიდის საფეხმავლო ნაწილი, რომლის სიგრძე წარმოადგენს 150 მეტრს. მთლიანი კონსტრუქციის წონა შეადგენს 600 ტონას. ლითონის ძირითადი თაღი, რომელიც ამდროულად ხიდის გადახურვის ფუნქციას ასრულებს, სრულად დაფარულია ნაწრობი 5 სანტიმეტრის სისქის მინით, რომელიც ძირითად ლითონის კონსტრუქციაზე დამაგრებულია უჟანგავი ფოლადის სპეციალური წერტილოვანი სამაგრებით. მშენებლის გადახურვა გარდა საინჟინრო დანიშნულებისა, ხიდს განსაკუთრებულ მხატვრულ-არქიტექტურულ ელფერს სძენს, განსაკუთრებით ღამით, როდესაც სახურავის ყოველ სამკუთხედში ჩამონტაჟებული 1208 პროგრამულად მართვადი სანათი უზრუნველყოფს სახურავის განათებას ცვალებადი არეკვლისა და განშლის ეფექტებით. საფეხმავლო ნაწილის მოაჯირებად ასევე გამოყენებულია გამჭვირვალე სამშრიანი ტრანსპარენტული მინა, რომელშიც მთელ სიგრძეზე ჩამონტაჟებულია 112 000 მიკროსანათი. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით შთამბეჭდავია მოაჯირის განათება, რომლის პროგრამული მართვის სისტემა უზრუნველყოფს სხვადასხვა ეფექტის ვიზუალიზაციის მიღებას, მათ შორის სინათლის ტალღის მიდევნებას ხიდზე მოსიარულე ფეხმავლებზე.

• ავლაზრის გვირაბის ახალი სეგმენტის მშენებლობა და ძველი გვირაბის რეკონსტრუქცია

ავლაზრის გვირაბის ახალი სეგმენტის მშენებლობა დაიწყო 2009 წლის აპრილში და დასრულდა 2010 წლის ივნისში. გვირაბის სიგრძეა 400 გრძივი მეტრი. იგი წარმოადგენს რთულ საინჟინრო ნაგებობას, რომელიც ებმება ავლაზრის ძველ არსებულ გვირაბს და წარმოადგენს მარცხენ სანაპიროს ერთ-ერთ მთავარ საკომუნიკაციო საშუალებას.

გვირაბის კონსტრუქცია მთლიანად დაფუძნებულია რკინა-ბეტონის არმირებულ ფუნდამენტზე და მისი ძირითადი მიწისზედა კონსტრუქციაც არმირებული რკინა-ბეტონისაა. აღსანიშნავია, რომ გვირაბის სახურავი შეადგენს რიყის პარკის ერთ-ერთ ძირითად ლანდშაფტურ ელემენტს, რომელზეც მოწყობილია საფეხმავლო ბილიკები და გამწვანებული თარგები.

ახალი გვირაბის მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა რიყეზე რეკრეაციული ზონის - დასავენებელი პარკის მშენებლობის პირველი ეტაპი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალი გვირაბის სახურავი გამოყენებულია პარკის ერთ-ერთ ელემენტად. 5500 მ² მოეწყო გამწვანებული თარგები, დაირგო სხვადასხვა სახეობის 25000 მცენარე, მოეწყო გრანიტის ფილებითა და ქვანაგებობით საფეხმავლო ბილიკები 3500 მ²-ზე. დამონტაჟდა სხვადასხვა ტიპის განათებისა და მინათების საშუალებები.

ახალი გვირაბის მშენებლობასთან ერთად, პარალელურად რეკონსტრუქცია ჩატარდა ავლაზრის არსებულ გვირაბს. მოიხსნა არსებული ძველი ასფალტისა და ქვანაგებობის საფარი. რადგან თავდაპირველად გვირაბის მშენებლობის დროს არ იყო დაპროექტებული და მოწყობილი სადრენაჟე და სანიაღვრე კომუნიკაციები, ძველი საავტომობილო საფარის მოხსნის შემდეგ მოინგრა 20 000 მ³ კლდის მასა. შესაბამისად, მოეწყო მიწისქვეშა სანიაღვრე და სადრენაჟე კომუნიკაცია გვირაბის ორივე (გამავალ და გამომავალ) ნაწილში, რომელიც დაიფარა ინერტული მასალით და ზემოდან მოეწყო ბეტონის საფარი. აღნიშნულმა კომუნიკაციებმა უზრუნველყო ზედაპირული წყლების მოცილება სამანქანო სავალ ნაწილზე, რაც ბეტონის საფარის ექსპლუატაციის ხანგრძლივ ვადას უზრუნველყოფს. მთლიანად ძველ გვირაბში მოეწყო 12980 მ² ახალი ბეტონის საფარი.

• გუდიაშვილის მოედნის საინვესტიციო პროექტი:

ძველი თბილისის ტერიტორიაზე უძრავი ქონების ბაზარზე ინვესტიციების წახალისების ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი ფონდის მიერ დაიწყო 2007 წელს, რაც გამოიხატებოდა გუდიაშვილის მოედანზე და

მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძო მესაკუთრეებისაგან მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვაში, ტერიტორიის შემდგომი განვითარებისა და რეკონსტრუქციის პროექტის შემუშავების მიზნით. გუდიაშვილის მოედნის პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირშესანიშნავია, როგორც სტრატეგიული ადგილმდებარეობის, ისე ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის კუთხით და საკმაოდ საინტერესო ინვესტიციების მოსაზიდად. ფონდის მიერ გუდიაშვილის მოედნის ირგვლივ და მიმდებარედ შეძენილ იქნა უძრავი ქონება 80-მდე მესაკუთრისაგან, შეიქმნა ტერიტორიის შესაძლო განვითარების გეგმა, შენობათა საპროექტო დოკუმენტაცია და მიმდინარეობს მოლაპარაკებები ინვესტორებთან აღნიშნული პროექტის რეალიზაციის მიზნით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ბალანსი

აქტივი 2009 წლის	2005	2006	2007	2008	2009	2010
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	252	743	795	385	4	9,855
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,705	46,760	207,668	471,052	252,911	184,871
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში					14	359
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან			362,707	25,423,949	9,388,533	4,209,694
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		10,000	20,000	10,000	17,165	
საქონელი					39,064	882,194
ნელლეული და მასალები				25,814	24,953	24,953
მიწის ნაკვეთები (საქონელი)				7,091,553	41,762,553	12,091,553
მიწის ნაკვეთები (ძირითადი)						34,671,000
ღრობით რეჟიმში შემოტანილი ძირითადები					889,485	711,588
შენობები (საქონელი)			10398309	19949975	21949975	21949975
ნაგებობები					35,690,128	33,162,205
მანქანა-დანადგარები					332,378	305,787
ოფისის აღჭურვილობა	16,430	43,409	71,786	67,891	57,310	64,801
გარე მონიტორები და სარეკლამო ეკრანები						2,252,569
ავიჯი და სხვა ინვენტარი (სარეკლამო ბანერები)	8,066	7,914	18,931	30,934	43,999	49,229
ტრანსპორტი			10,248	8,198	25,553	20,442
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა				29,886	29,886	29,886
სანათი საშუალებები და სამშენებლო კონსტრუქციები					1,320,607	1,211,400

ხილის ძირითადები						12,024,000
ხილის ძირითადები ღრუებით რეკიმში						322,060
კოშკის ძირითადები						4,583,824
სხვა არამატერიალური აქტივები						1,088
სხვადასხვა ხარჯი (საგადასახლო კუთხით მოგებაა არაა შემცირებული)	6,955	6,955	6,955	40,295	1,542,137	
დეპოზიტზე ღარიცხული საშემოსავლო	118					
სულ აქტივები					113366654	128763331

ვალდებულება კაპიტალი 2009 წლის	2005	2006	2007	2008	2009	2010
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	474	134,543	17,483	16,981	237,704	(27,111,036.22)
გადასახდელი ხელფასები			(1,669)	(1,799)	(1,799)	
გადასახდელი მოგების გადასახადი	2,235	2,118	59,182	(155,985)	(181,493)	(181,492.91)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	21	(13)	(3,517)	(9,494)	1,647,156	
გადახდილი დღ			(30,688)	(1,618,690)	(13,748,893)	(15,339,314.56)
სოციალური გადასახადი	(32)	(86)	(1,581)	(1,581)	(1,581)	(1,581.22)
ქონების გადასახადი	92	371	5,833	(4,286)		
სხვა ანარიცხები (ბანკის გარანტიები)					(248,798)	(2,510,731.27)
მიზნობრივი დაფინანსება(ძვ.თბილისის რაიონის გამგეობა)			10,446,000	53,389,313	134,899,028	170,350,539.14
გაუნაწილებელი მოგება,	8,941	8,941	606355	1535473	1978222	1721219
სარგებელი (საგადასახლო კუთხით მოგება გაზრდილია)					(180)	
სხვადასხვა შემოსავლები (საგადასახლო კუთხით მოგება გაზრდილია)					(11,212,712)	
ვალდებულებები საწარმოო პერსონალის წინაშე	3,000					
მოკლევადიანი სესხები	18,795					
აკუმულირებული ზარალი		(30,093)				
გაუნაწილებელი მოგება 2010						1,835,729.38
სულ ვალდებულება+ კაპიტალი					113 366654	128763331

ფონდის შემოსავლები და ხარჯები

01/01/05 – 01/10/10 წწ.

	2005	2006	2007	2008	2009	2010
ერთობლივი შემოსავალი	150000	294470	3554631	4143065		
მომსახურების რეალიზაცია					87909	128249
მთავრობის დადგენილებით ჩარიცხული თანხები					30608507	70633052
საქონლის რეალიზაცია					856	170
ბენზინის რეალიზაცია						6610
შემოსავალი სესხიდან					6699	
შენიშვნების რეალიზაცია					11212712	
შემოსავალი რეალიზაციიდან						
საპროცენტო შემოსავლები	1175.21		410,174	96,621	355067	110082
შემოსავალი პროექტებიდან			392,404	11,479		
საანგრიშო პერიოდის ბოლოს არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები			8,356,944	25,025,977	27064180	
სულ შემოსავალი	151175	294470	12,714,153	29,277,142	69335931	70878162
საანგრიშო პერიოდის დასაწყისისთვის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები				8356944	25025977	
შეძენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები			10398310	16669744	13251776	
საპროცენტო სამუშაოების ხარჯი		900	372471	331857	5415799	10204604
სამშენებლო სამუშაოების ხარჯი				1460600	9761700	25565883
საქონლის ჩამოწერის ხარჯი				711.9	860	
განათების ხარჯი					13204	2390
შესრულებული სამუშაო						5090444
ხელფასები	74726.01	190695.68	551555.1	773879.64	923427	1082340
სოციალური გადასახადი	14945.21	38139.12	110311.04			
საიჯარო ქირა	27483.22	37485.73	199598.78	46193.73	43333	28685
არარეზიდენტების 10% საშემოსავლო					13457629	5226355
ქონების გადასახადი	91.86	379.09	5842.32	1189.37	253036	349226
საოფისე ინვენტარი	5381.4	1532.7	11344.92	7636.18	1181	5126
ინტერნეტის ხარჯი	417.12	783.83	486.27	2631.74	5934	2152
ტელეფონის ხარჯი	4248.46	6773.27	16141.34	28886.49	57980	196654
ელექტრო ენერგიის ხარჯი	745.09	1582.36	2771.3	3902.9	8345	18122
გაზის ხარჯი		564.63	715.55	1136.1	15	
წყლის ხარჯი		295.44	429.12	1315.68		5382
მანქანის ხარჯი			2441.77	6125.59	13911	17709
დაზღვევა			2140	957.24	129	

მიწვლინების ხარჯი			4227	6252.04	89542	72909
ბანკის საკომისიო	544.5	660.1	12003.4	394.8	2755	205159
კომპიუტერის ხარჯები	448.96	1510.02	6075.7	7575.72	9033	10576
საკონსულტაციო ხარჯები			86154.03	109057.6	8031	29802
ცვეთა და ამორტიზაცია	6124.03	12830.64	25241.21	28325.89	182480	5819288
საკანცელარიო ხარჯი	2330.82	20034.45	74321.85	94651.41	5370	3469
სხვადასხვა					49384	474486
საწვავი	1000		9938.67	35519.53	34208	60841
ლაცვის ხარჯი			46928.68	181409.09	141331	152267
საჯარო რეესტრის ხარჯი		5090	22939.92	6014.53	13064	5749
ოფისის რემონტისთვის					6924	624
ნოტარიუსის ხარჯი					25823	7746
საბაჟო ხარჯი					1695	48612
სატრანსპორტო ხარჯი				1610.17		619911
ჩამოწერის ხარჯი			20130			177897
წარმომადგენლობითი ხარჯები	1511.75	2440.8	1814.77	18145.34	16426	136043
რეკლამის ხარჯი						96570
კურსთა შორის სხვაობა					73019	
საპროცენტო ხარჯები		2864.73	4230.27	165210.96		1425
სულ ხარჯი	139,998	324,563	11988563	28,347,879	68893319	55720602
წინა წლების მარაგი			30093.24			
მოგება/მარაგი	11,176.78	(30093.04)	695,496	929,263	442612	15157560

	2005	2006	2007	2008	2009	2010
ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით ჩარიცხული თანხები მერიიდან			10,607,692	47,453,974	112,118,222	106,084,563

ძირითადი აქტივები

2005 ძირითადი აქტივები

	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	სხვა ძირითადი აქტივები	მიწა	ჯამი
შეძენა			30620.21	.	
ცვეთა			6124.03		
ნაშთი			24496.18		

2006 ძირითადი აქტივები

	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	სხვა ძირითადი აქტივები	მიწა	ჯამი
ნაშთი			24496.18		
შეძენა			39657		
ცვეთა			12830.64		
ნაშთი			51322.54		

2007 ძირითადი აქტივები

	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	სხვა ძირითადი აქტივები	მიწა	ჯამი
ნაშთი			51322.54		
შეძენა	10398309.67		74883.55		
გადაცემა	2,041,365.32				
ცვეთა			25241.21		
ნაშთი	8,356,944.35		100964.88		

2008 ძირითადი აქტივები

	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	სვა ძირითადი აქტივები	მიწა	ჯამი
ნაშთი	8,356,944.35		100964.88		
შეძენა	9,551,665.48		64270.01	7,091,553.21	
ცვეთა			28325.89		
ნაშთი	17,908,609.83		136909		

2009 ძირითადი აქტივები

	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	სვა ძირითადი აქტივები	მიწა	ჯამი
ნაშთი	17,908,609.83		136909	7,091,553.21	
შეძენა	48,906,215.26	361280.11	2380131.55	34671000	
გადაცემული	11212711.86				
ცვეთა	3375.19	28902.41	150202.48		
ნაშთი	55,598,738.04	332377.7	2,366,838.07	41,762,553.21	

2010 ძირითადი აქტივები

	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	სვა ძირითადი აქტივები	მიწა	ჯამი
ნაშთი	55,598,738.04	332377.7	2,366,838.07	41,762,553.21	
შეძენა	267,455.00	26590.23	26,229,325.74	5000000	
გატანა			5,048,785.44		
ცვეთა					

	2,795,377.91		4,288,934.07		
ნაშთი	53,070,815.13	305787.47	19,258,444.30	46,762,553.21	

ხელფასის ხარჯი

ფონდს 01/01/05 – 01/10/010 წწ. პერიოდში დაქირავებული ჰყავდა 103 თანამშრომელი, მათზე გაცემული ხელფასის და პრემიის თანხის ოდენობა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს რაიმე დამტკიცებული პოლიტიკა პრემიის გაანგარიშებასა და ხარჯვაზე.

	2005	2006	2007	2008	2009	2010
ხელფასი	74726.01	190695.7	512578.8	766706.3	795789.2	880,889.89
პრემია			38976.33	7173.34	127637.5	201450
ჯამი	74726.01	190695.7	551555.1	773879.6	923426.7	1,082,339.89

მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობის ხარჯები

	2005	2006	2007	2008	2009	2010
ტრანსპორტი			10248	8198.4	25552.72	20442.18
კომპიუტერები	16430.18	43408.94	71785.9	67890.9	57309.59	47603.96
ავეჯი და საოფისე მოწყობილობა	8066	7913.6	18930.98	30934.11	43998.74	49229.25
ჯამი	24496.18	51322.54	100964.9	107023.4	126861.05	117275.4

ოფისის ხარჯები

	2005	2006	2007	2008	2009	2010
დაცვის ხარჯები			46928.68	181409.09	141331.1	152,267.28
კომუნიკაციები	4665.58	8121.73	17343.16	32654.33	63927.81	198808.22
ელექტროენერგია	745.09	1582.36	2771.3	3902.9	8345.15	18,122.25
წყალი		295.44	429.12	1315.68	70.4	5381.43
ჯამი	5410.67	9999.53	67,472.26	219,282.00	213,674.46	374,579.18

ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები

ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები	2005	2006	2007	2008	2009	2010
საწვავის ხარჯი	1000		9938.67	35519.53	34207.6	60,841.13
მანქანის მომსახურების ხარჯი			2441.77	5922.2	13504.46	17099
მანქანის რეცხვის ხარჯი				203.39	406.78	610.17
ჯამი	1000		12380.44	41645.12	48118.84	78,550.30

მივლინების ხარჯები

მივლინების ხარჯები	2005	2006	2007	2008	2009	2010
მივლინება			4227	6252.04	89541.65	72909

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

“საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ კონტროლის პალატაში, ქ. აბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96, ასევე სასამართლოში - კანონით დადგენილი წესით.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მთავარ აუდიტორი

ლამა ლაშხია



აუდიტორ-ასისტენტი

მანანა ღვინაძე

